ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ კონსტანტინე კაკავას

ბატონო კონსტანტინე,

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასაქმებისა და გადამზადების ცენტრი (ს.კ 420000091) ქმნის, ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ახალგაზრდულ სათათბიროს. აღნიშნული პროექტის მიზანია მოზარდ თაობას შევუქმნათ კეთილმოწყობილი და თანამედროვე სტანდარტების მქონე ახალგაზრდული სივრცე, ხოლო სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკები უზრუნველყოფს მათ ჩართულობას ახალგაზრდული პოლიტიკის მშენებლობის საკითხში.

გთხოვთ გაგვიწიოთ ფინანსური მხარდაჭერა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდული განყოფილების პროგრამულად გათვალისწინებული ბიუჯეტიდან

პატივისცემით,

14.06.2021

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ზუგდიდი
ZUGDID

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
19.02.2021

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2019
სრს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE019ID04239919001108849<<<<
0009117F3102190GEO<<<<<<<<<<<9
JGARKAVA<<TEKLE<<<<<<<<<<<<<<<

GEO

სახელი / FIRST NAME
თეკლე
TEKLE

გვარი / LAST NAME
ჯღარკავა
JGARKAVA

მოქ. / CIT
GEO

სქესი / SEX
მდ / F

პირადი No / PERSONAL No
19001108849

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
11.09.2000

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
19.02.2031

ხელმოწერა
SIGNATURE

ბარათის No / CARD No
19ID04239

5ES 98 9145.

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სათათბირო“

განცხადების თარიღი: 14.06.2021 წ

პროექტის ავტორი: ირაკლი ჯიქია

თეკლე ჯღარკავა

ლალი გამისონია

ლიკა როგავა

ინფორმაცია პროექტის ავტორისა და შემსრულებლის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია	
კოორდინატორი/ საკონტაქტო პირი	ირაკლი ჯიქია
კოორდინატორის საკონტაქტო ინფორმაცია	599 84 41 84 Irakli.jikia94@gmail.com
პროექტის სავარაუდო დაწყების თარიღი	20.05.2021
პროექტის სავარაუდო დასრულების თარიღი	24.12.2021

მოთხოვნილი თანხა	10 000	ლარი
დაფინანსება სხვა წყაროდან	0	ლარი
პროექტის მთლიანი ღირებულება	10 000	ლარი

პროექტის სახელწოდება: "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სათათბირო"

პროექტის მიზანი: ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და „შუამავლის" ფუნქციის შესრულება ახალგაზრდებსა და ხელისუფლებას შორის.

პროექტის აღწერა:

ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებისთვის უმინიშვნელოვანესია ადამიანური კაპიტალის განვითარება. ადამიანური კაპიტალის განვითარებაში კი უდიდეს როლს ახალგაზრდობა ასრულებს. ახალგაზრდობა არის ერთ-ერთი უმინიშნელოვანესი რგოლი, რომელმაც ქვეყნის განვითარებაში წვლილი უნდა შეიტანოს. განვითარებული, დასაქმებული და აქტიური ახლაგზრდობა პირდაპირ მიუთითებს ქვეყნის უკეთეს მომავალზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2020 წელს ჩატარებული ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებია და რესურსების კვლევაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 14-დან 29 წლამდე ასაკის 247 ახალგაზრდამ მიიღო მონაიწლეობა.

კვლევამ ნათლად დაგნავახა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები გამორიჩევიან სამოქალაქო აქტიურობით. 65%-ს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილოება მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ ღონისძიებებში. ახალგაზრდები ასევე აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა საერთაშორიო ორგანიზაციების მიმდინარე პროექტებში. მაგრამ ნაკლებად არიან ინიციატორები მიმართონ მუნიციპალიტეტს საინტერსო იდეებით. მხოლოდ 25% მიუმართავს იდეით მუნიციპალიტეტისთვის. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ საჭირო რესურსები, რომლებსაც გამოიყენებენ იდეის ჩამოყალიბების თუ განხორციელების პროცესში. გამოკითხული ახალგაზრდების 43 % აღნიშნავს, რომ ზუგდიდში არ არსებობს ფიზიკური სივრცე, რომლესაც გამოიყენებენ პროექტების დასამუშავებლად და დასაგეგმად. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდული კლუბის არსებობა, რომელიც შეძლებს

მათთვის იმ რესურსების, სერვისების მიწოდებას რაც დაეხმარებათ პროექტის დაგეგმიდან განხორციელებამდე.

ახალგაზრდები სივრცეებს პროექტების დასაგეგმად მეტწილად ეძებენ არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებში, კვების ობიექტებსა და ღია სკვერებში, სადაც შესაძლებელი იქნება უფასო ინტერნეტით სარგებლობა. თუმცა გარდა ამისა მათ ასევე სჭირდებათ ტექნიკა, ადამიანური რესურსი. განსაკუთრებით პრობლემურია საკითხი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რომელებიც ვერ ახერხებენ აქტიურად ჩართულობას ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდებისგან განსხვავებით.

გარდა სივრცეებისა ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კომპეტენციების ამაღლება, უნარების განვითარება, რაშიც ახალგაზრდული მუშაკების როლი იქნება უდიდესი. მათი დახმარებით სოფლებში მცხოვრები ახალგარზდები მეტად გააქტიურდებიან, გაიუმჯობესებენ უნარ-ჩვევებს, ჩამოყალიბდებიან აქტიურ მოქალაქეებად.

ახალგაზრდული საბჭოები, სხვადასხვა ფორმით და სახელით, შეიძლება ფუნქციონირებდეს ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზეც კი. თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი არსებობა მუნიციპალიტეტებში, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ახალგაზრდებთან ყველაზე ახლოს მდგომი სახელიმწიფო ინსტიტუტები არიან და ახალგაზრდები, პირველ რიგში, მათთან ურთიერთქმედებენ

> ახალგაზრდული სათათბირო არის ახალგაზრდების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს წესდების შესაბამისად და ფუნქციონირებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაზაზე.

სათათბიროს არსებობა დამოკიდებულია წევრთა რაოდენობაზე და განისაზღვრება 12 დელეგატით (დელეგატები აუცილებელია იყვნენ სტუდენტები).

პროექტის ფარგლებში გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები, რის შემდეგაც მიღებული აპლიკაციების საფუძველზე მოხდება ორ ეტაპიანი შერჩევა სათათბიროს წევრობის მსურველ ახალგაზრდებს შორის.

ახალგაზრდებს შერჩევის შემგედ დაიყოფიან დეპარტამენტებად, სულ გადანაწილდების 6 დეპარტამენტში. (ერთ დეპარტამენტში 2 ახალგაზრდა ჩაუტარდებათ ტრენინგები შემდეგ თემებზე: ლიდერობა, პიროვნული განვითარება, მოხალისეობა, აქტიური მოქალაქეობა, პროექტების წერა და მართვა, ადვოკატირების კამპანია, გუნდის მართვა.

მას შემდეგ, რაც ახალგაზრდები გაივლიან ტრენინგებს, დაევალებათ დეპარტამენტების შესაბამისად მოკვლევის საფუძველზე შეიმუშაონ პროექტები განაცხადის ფორმები, რის საფუძველზეც მოხდება საუკეთესო პროექტების შერჩევა და მხარდაჭერა.

ასევე ახალგაზრდების ვალდებულება იქნება მოახდინონ ახალგაზრდული პრობლემების აკუმულირება და შემდგომ ამ პრობლემების გაჟღერესბა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

წლის ბოლოს კი მოახდინონ განხორციელებული სამუშაოების ანგარიშის ჩაბარება ზუგდიდელი ახალგაზრდებისთვის.

პროექტის მდგრადობა და მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის დასრულების შედეგად მივიღებთ გააქტიურებულ ახალგაზრდობას, რომელთაც აქვთ უნარი მარტივად მოახდინოს კომუნიკაციის დამყარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

პროექტის შესრულების განრიგი

N	ეტაპი	დაწყების დრო	დასრულების დრო
1.	ინფორმაციის გავრცელება	20.05.2021	30.05.2021
2.	აპლიკაციების გადარჩევა	01.06.2021	10.06.2021
3.	შერჩეული სტუდენტების დეპარტამენტებში გადანაწილება	11.06.2021	08.06.2021
4.	ტრენინგები	09.06.2021	30.11.2021
5.	მცირე ინიციატივების მხარდაჭერა	20.06.2021	30.06.2021
6.	ინიციატივების განხორციელება	01.07.2021	30.09.2021
7.	ახალგაზრდებთან კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაჟღერება გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან	01.10.2021	15.10.2021
8.	დეპარტამენტებში მუშაობა და ინიციატივების შემუშავება	16.10.2021	05.12.2021

9.	პროექტის დახურვა	06.12.2021	25.06.2021

ბიუჯეტი და რესურსები

N	პროდუქტის დასახელება	ერთეულის ფასი ლარში	რაოდენობა	თანადაფინანსება	ჯამი
1.	ნოუთბუქი	970	1		970
2.	ტრენინგები	---	10		---
3.	საოფისე სკამები	78	20		1560
4.	თარო	450	1		450
5.	ინიციატივების მხარდაჭერა	500	5		2500
6.	მაგიდა	170	5		850
7.	ოთახის სარემონტო ხარჯები (საღებავი, ელექტროგაყვანილობა, ხალიჩა)	1800	1		1800
8.	ინტერნეტის მომსახურება	370	1		370
9.	მენტორის ჰონორარი	500	3		1500
	სულ პროექტის ღირებულება				10000